

საქართველოს სტანდარტი

სსკ 01.020

ტერმინოლოგიური მუშაობა - ცნებათა და ტერმინთა შესაბამისობაში
მოყვანა / ჰარმონიზება

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

საინფორმაციო მონაცემები

1 შემოტანილია: სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ.

განხილულია სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის „ტკ 9 ტერმინოლოგიის“ მიერ.

2 მიღებულია: სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 23/02/2023 წლის №21 განკარგულებით სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის „ტკ 9, ტერმინოლოგიის“, გადაწყვეტილების საფუძველზე.

3 წინამდებარე სტანდარტი წარმოადგენს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ისო) სტანდარტის ისო 860:2007 „ტერმინოლოგიური მუშაობა - ცნებათა და ტერმინთა შესაბამისობაში მოყვანა/ჰარმონიზება“ იდენტურ თარგმანს (IDT).

4 პირველად

5 რეგისტრირებულია: სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს საქართველოს სტანდარტების რეესტრში 23/02/2023 წლის №268-1.1-00469

სარჩევი

წინასიტყვაობა	IV
შესავალი	V
1 გამოყენების სფერო	1
2 ნორმატიული წყაროები	1
3 ტერმინები და განმარტებები	2
4 ცნებებისა და ცნებათა სისტემების შესაბამისობაში მოყვანა / ჰარმონიზება	3
4.1 ცნებათა ნაირსახეობები	3
4.2 კვლევის განხორციელების შესაძლებლობის შესწავლა	4
4.3 ცნებების შესაბამისობაში მოყვანის / ჰარმონიზების პროცედურა	5
5 ცნებათა განმარტებების შესაბამისობაში მოყვანა / ჰარმონიზება	16
6 ტერმინების შესაბამისობაში მოყვანა / ჰარმონიზება	16
6.1 ზოგადი მითითებები	16
6.2 ტერმინთა შერჩევა	17
6.3 ეკვივალენტების, სინონიმებისა და ტერმინთა ნაირსახეობების დადგენა	19
6.4 ტერმინოლოგიის დაგეგმვა	22
დანართი A (საინფორმაციო) ცნებათა შესაბამისობაში მოყვანის / ჰარმონიზების პროცესი	23
ბიბლიოგრაფია	24

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

სსტ ისო 860:2007/2023

წინასიტყვაობა

ისო (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) სტანდარტების ეროვნული ორგანოების (ისო-ს წევრი ორგანიზაციები) მსოფლიო ფედერაციაა. საერთაშორისო სტანდარტებზე მუშაობა, ჩვეულებრივ, მიმდინარეობს ისო-ს ტექნიკურ კომიტეტებში. თითოეულ წევრ ორგანიზაციას უფლება აქვს გაერთიანდეს მისთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით შექმნილ ტექნიკურ კომიტეტში. ამ მუშაობაში მონაწილეობენ ასევე ისო-სთან დაკავშირებული საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები. ისო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ელექტროტექნიკურ კომისიასთან (იეკ-თან) ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ყველა საკითხთან დაკავშირებით.

საერთაშორისო სტანდარტები შემუშავებულია ისო/იეკ-ის დირექტივების მე-2 ნაწილში მოცემული წესების შესაბამისად.

ტექნიკური კომიტეტების მთავარი ამოცანაა საერთაშორისო სტანდარტების მომზადება. მათ მიერ მიღებული საერთაშორისო სტანდარტების პროექტები კენჭისყრისთვის ეგზავნება წევრ ორგანიზაციებს. საერთაშორისო სტანდარტის გამოსაქვეყნებლად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილე წევრი ორგანიზაციების არანაკლებ ხმათა 75%-ის თანხმობა.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე ნაწილს შესაძლოა შეეხოს საპატენტო უფლებები. ისო არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი ან ყველა ამგვარი საპატენტო უფლების დადგენაზე.

ისო 860 მოამზადა ტექნიკურმა კომიტეტმა ისო/ტკ 37, „ტერმინოლოგია და სხვა ენობრივი და შინაარსობრივი წყაროები“, ქვეკომიტეტმა ქკ-1, „პრინციპები და მეთოდები“.

მესამე გამოცემა აუქმებს და ჩაანაცვლებს მეორე გამოცემას (ისო 860:1996), რომელიც ტექნიკურად შესწორდა.

IV

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

შესავალი

0.1 ზოგადი მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინოლოგიების შემუშავებისას ძალიან დიდი ძალისხმევა იხარჯება შეთანხმებული ტერმინოლოგიური მუშაობის განვითარებაზე, თავიდან ვერ ავირიდებთ ურთიერთგადამფარავი და არათანმიმდევრული ტერმინოლოგიების გამოყენებას, რადგან დოკუმენტები, პოლიტიკის განმსაზღვრელი წესები და პრინციპები სხვადასხვა კონტექსტში იქმნება. განსხვავებები ცნებებს შორის, შეცდომაში შემყვანი მსგავსებები სახელდების დონეზე აფერხებს ენობრივ ურთიერთობას. ცნებები და ტერმინები სხვადასხვაგვარად ვითარდება ცალკეულ ენებსა და ენობრივ საზოგადოებებში, რაც დამოკიდებულია პროფესიულ, ტექნიკურ, სამეცნიერო, სოციალურ, ეკონომიკურ, ლინგვისტიკურ, კულტურულ თუ სხვა ფაქტორებზე. ამდენად, ჰარმონიზაცია სასურველია, რადგან:

- ცნებებს შორის განსხვავებები ყოველთვის არ ვლინდება სახელდების დონეზე;
- მსგავსება სახელდების დონეზე (აღმნიშვნელთა მსგავსება) ყოველთვის არ გულისხმობს იმ ცნებათა შორის მსგავსებას, რომლებსაც ისინი აღნიშნავენ;
- შეცდომები ვლინდება მაშინაც, როდესაც ერთი ცნება აღინიშნება ორი სინონიმით, რომლებიც არასწორადაა მიჩნეული ორი სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელად.

ჰარმონიზაციის პროცესი იწყება ცნებების დონიდან და გრძელდება ტერმინების დონეზე. ეს სტანდარტიზაციის განუყოფელი ნაწილია.

0.2 პირობითი ნიშნები და აღნიშვნები

წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტში ხისებრი დიაგრამები გამოყენებულია ცნებათა გვარეობითი მიმართებების წარმოსადგენად. წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტში გამოყენებულია შემდეგი პირობითი ნიშნები:

- ცნებები / ცნებათა განმარტებები ჩასმულია ერთმანეთს ბრჭყალებში;
- სახელები მუქი შრიფტითაა წარმოდგენილი;
- ცნებათა მახასიათებლები ხაზგასმულია;
- ენათა კოდების სისტემა ალფა-2 პატარა, მუქი და დახრილი ასოებითაა გამოყოფილი;
- ქვეყნების კოდები წარმოდგენილია დიდი ასოებით;